# სახალხო გაზეთი

№ 267 ოთხშაბათი, 30 მარტი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 267

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვაჩნაძის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## „სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

თილლა გაბრიელის ასული გომელაურისა, ეკატერინე (კეკე) ნოდარის ასული ნაცვალოვისა შვილით ნიკოლოზ გაბრიელის ძით და ილია და შაქრო სვიმონის ძენი და გიგა სოლომონის ასული გომელაურები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის—საყვარელი მეუღლისა, მეორეების—სიძისა და დანარჩენების—ბიძის

### ივანე (ვანო) ზაქარიას ძის გომელაურის.

პარასკევი დღეს, საღამოს 7 საათზე. გასვენება ხვალ 31 მარტს, 10 საათზე დილით ბინიდან პირველი თუმანოვის ქუჩა № 2, სახლი თავდგირიძისა), წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—538—1)

## გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „ახალი საქმე“, „სინათლე“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონი“, „სურანდაკი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „სალამური“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ქიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

## ქართული თეატრი

ქართული იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენა.

ხუთშაბათს, 31 მარტს, 1911 წ.

ქართულ დრამატიულ მსახიობთა ამხანაგობის მიერ გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება:

### სამშობლო

ისტორ. დრ. 5 მოქ. და 7 სურათად დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ; ქალბატონნი: კარგარეთელი, მოთამე, ჯავახიშვილი. ბატონნი: ალექსიძე, არადელი, გრიშაშვილი, გვარამე, იგანიძე, ჟივიძე, ჩარდალიშვილი, მატარამე, მამფორია, საფაროვი, ციციშვილი, მალიკაშვილი.

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი 10 კაპ. 1 მან. (2—1202—1)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—13)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. ამბულატორიო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ვედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

დავითაშვილი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

თრემბოვეცკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.

ხობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათი. საფასურით. (წ.—1089—430)

## გამოვიდა და იყიდება არჩილ ჯორჯაძის

თხზულებათა პირველი წიგნი:

„ეროვნულ პრობლემის გარშემო“.

ხელის-მომწერთ უნდა მიჰმართონ წიგნის მისაღებად საცა ხელი მოაწერეს, გასაყიდათ წიგნი ღირს 75 კ. (280 გვ.).

ტფილისში წიგნები იყიდება წერა-კითხვ საზ. მაღაზიაში და „ახალი სიტყვა“-ს („Новая Рѣчь“) წიგნის მაღაზიაში, სახაზინო თეატრის პირდაპირ. ქუთაისში: მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. (3—3)

ცნობილი პირველ ხარისხოვანი ფირმა ჭიის თესლისა

## ხ. ხრისტოდულიდისი

აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

### ი. გოკიელოვი და შვ.—ბი, სავ. სახ. ქუთაისში

და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ჭიის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—18)

ვაგზლის კერძო

## სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით. (წლ.—1090—26)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

## საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

### ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—73)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

### მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ.,N 20. (0—5.—83)

**ექიმი** ჯაფარიძე

ქ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—32

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეის ქუჩების კუთხე N 24. 0—346

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ქუთაისში, ს. ი. ვოლოხი

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყებს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჰლექიანისა და საყმაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ საგანგებო შეხაზვებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპრუვეტები სისხლის გამოგზავნისთვის გასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—33)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

**ექიმი** მ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. კოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაქოს ქუჩა N 7. თ.—180—103

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი.

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—27)


## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს. მიიღეს კანონ-პროექტი, რომლითაც სამხედრო სამინისტროსათვის დამატებით თანხად 15,500,000 მანეთის გადადების კანონი შეიცვლება, და მის მაგიერ ნათქვამი იქნება, რომ სამინისტროს უფლება ეძლევა ყველა დაკვეთილ საქმეთა სესხი გაისტუმროს, იმის მიუხედავად, თუ როდის რა შეუკვეთნია.

ბუდგეტის ლოთობასთან საბრძოლველ კანონ-პროექტში შესწორება შეაქვს, რომ ყოველ წლივ ერთი მეოცედით ნაკლები არაყი გამოუშვან და არყით მოვაჭრე დუქნების რიცხვიც შეამცირონ.

მეტენდორფი წინადადებას იძლევა ეს შესწორება უარჰყონ.

წინადადება შეაქვთ, ბულატის შესწორება კომისიას დაუბრუნდეს.

ეპისკოპოსი მიტროფანე ამ შესწორების კომისიაში დაბრუნების წინაამდეგია, რადგანაც ამ შესწორებამ ისედაც ორის თვით დააბანდა კანონ-პროექტი. მემარცხენენი, როდესაც მთავრობის სხვა-და-სხვა ზომებს ეხებიან, მთავრობას ოპოზიციაში უდგანან და ხალხის მოწინააღმდეგეთაც გამოდიან, რადგანაც, ალბად ჰშიშობენ, ფხიზელი ხალხი მათ არ გაჰყვება პოლიტიკურ იდეალების მისაღწევად. ეპისკოპოსი ურჩევს შესწორება უარჰყონ.

ეპისკოპოსის ლაპარაკის დროს, თავმჯდომარე გეგეჭკორსა და ბულატს წესიერებას აგონებს, რადგანაც ორატორის მიმართ წარმოსთქვეს „სიცრუეა!“

კენჭის ყრით, ბულატის შესწორებას, კომისიაში გადაუცემლად უარჰყოფენ.

მორიგ საკითხად სათემო ერობის შემომღებ კანონ-პროექტის მუხლობითი განხილვაა. 13—23 მუხლებს კომისიის რედაქციით ღებულობენ.

როძიანკო თავმჯდომარეობს. 24—39 მუხლებს, რომელნიც სათემო ხმოსანთა არჩევნებს ეხებიან, კომისიის რედაქციით ღებულობენ. კენჭის ყრის დროს მარცხნივ რამდენჯერმე ისმის ხმა: „დასთვალეთ, საკმაო შემადგენლობა არ არის“.

მე-40 მუხლის კენჭის ყრის დროს გეგეჭკორი აცხადებს: მემარცხენეთ რამდენჯერმე განაცხადეს, რომ ხმების დათვლაა საჭირო, მაგრამ თავმჯდომარე ამას ყურადღებას არ აქცევს. დარბაზში საკმაო შემადგენლობა არ არის. რადგანაც ასეთს მდგომარეობაში ასეთ მნიშვნელოვან კანონ-პროექტის განხილვა არ შეიძლება, ორატორი თხოულობს ნაკაზის თანახმად კრება შესწყვიტონ.

დამსწრეთა გადათვლამ აღმოაჩინა, რომ დარბაზში 130 დეპუტატია.

სხდომა 10 წუთით შესწყვიტეს.

კრუპენსკი კრების განახლებისას აცხადებს: საერთო სხდომის დროს, კომისიათა მთელს წყებასა აქვს კრება; სათათბიროს ბევრს დეპუტატს ორსავე ადგილას დასწრება არ შეუძლიან. სასურველია, რომ პრეზიდიუმმა ფრაქციების თავმჯდომარეთა მონაწილეობით ეს საკითხი გაიხილოს. (ტაშის ცემა, ხმები: „ვაშა!“).

თავმჯდომარე განმარტავს, რომ ამ განცხადებას ხვალის თათბირის დროს განვიხილავთ.

მე-40—43 მუხლებს კომისიის რედაქციით ღებულობენ.

მე-44 მუხლში აღნიშნულია ის პირნი, ვისაც სათემო საარჩევნო კრებაზე მონაწილეობის უფლება არა აქვთ.

უვაროვი წინადადებას იძლევა მეცხრე მუხლი გამორიცხონ, რომლითაც სასულიერო წოდებიდან გადამდგართ თუ დათხოვნილთ, საზოგადოებიდან თუ დეპუტატთა საკრებულოს კრების განაჩენით განდევნილ პირთ საარჩევნო უფლება ერთმევათ.

ბელოუსოვის აზრით სათემო საარჩევნო კრებაში არც ერობის უფროსნი და არც საზოგადო პოლიციის მოხელენი არ უნდა იღებდნენ მონაწილეობას.

ჩერკასოვი ნაციონალისტების შესწორებას ესარჩლება, რომლითაც სათემო კრებაზე არ უნდა შეუშვან არა მარტო სასამართლოს მიერ სასჯელ-მისჯილნი, არამედ გამოძიების ქვეშ მყოფნიცა და სამართალში მიცემულნიც.

პეტროვსკი კადეტებისა და პროგრესისტების შესწორებას ემხრობა, რათა ამ მუხლიდან ის პირნი გამორიცხონ, რომელნიც გამოძიების ქვეშ იმყოფებიან, სასულიერო ხარისხი ჩამორთმეული აქვთ, და ადმინისტრაციის დადგენილებით პოლიციის ცხად მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან.

მინისტრის ამხანაგი ლიკოშინი აცხადებს, მთავრობა ნაციონალისტთა შესწორებას ემხრობაო.

მომხსენებელი ს.-დემოკრატების შესწორებას ემხრობა, რომლითაც სათემო კრებაზე ერობის უფროსებს თავისს ნაწილში მონაწილეობის უფლება არა ჰქონდეს, პროგრესისტებისას—რათა ღირსება აყრილი სასულიერო პირნი და საზოგადოებისა და დეპუტატ საკრებულოს კრების მიერ გაძევებულნი სიიდან არ ამოშალონ.

სათათბირო მე-46 მუხლს კომისიის რედაქციითა და ს.-დემოკრატების შესწორებით ღებულობს: მე-49 და მე-52 მუხლს კომისიის რედაქციით ღებულობენ.

მე 55 მუხლი განმარტავს, რომ სათემო ერობაზე კრების თავმჯდომარე ერთის წლით კრების წევრთაგან აირჩევა.

მინისტრის ამხანაგი მთავრობის რედაქციას იცავს, რომლითაც თავმჯდომარეობა თემის მამასახლის ევალება.

უვაროვი და გეგეჭკორი კომისიის რედაქციას ემხრობიან.

ზახარჩენკო და კაპუსტინი კი კომისიის ნაციონალისტთა სახელით კომისიის რედაქციას ემხრობიან, მხოლოდ იმ ცვლილებით, რომ თავმჯდომარე სამის წლით ირჩეოდეს.

მე-55—57 მუხლებს კომისიის რედაქციით ღებულობენ.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს მოხდება.

## სახელმწიფო საბჭო

თავმჯდომარეობს აკიმოვი. საფინანსო კომისიის მოხსენებით სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის აღწერა იმ ნაირად იქმნა მიღებული, როგორც ეს სათათბიროს ჰქონდა მიღებული. განსხვავება მხოლოდ ზოგიერთ მუხლებშია. საბჭომ შემდეგი დებულებანი წამოაყენა: 1) საჭიროა, რომ სამსახურის თაობაზე გაგზავნილთათვის გადადებულ ფულების დარიგების წესი მალე შეიცვალოს; 2) საჭიროა, რომ საერობო დაწესებულებებმა უძრავი ქონება ხელ-ახლად მალე შეაფასონ; 3) ჩქარა გამოცხადდეს გეოლოგიურ გამოკვლევათა შედეგები; 4) საჭიროა, რომ ევროპის რუსეთში გადმოსახლებულთ მიწები უსასყიდლოდ აღარ მიეცეთ; 5) განვითარება შინამრეწველობისა; 6) შაქრ-ს გაკეთება. შაქარი მისხლობით იყიდებოდეს არყის დუქნებში.

კამათი იმან გამოიწვია, რომ საფინანსო კომისიამ წინადადება შეიტანა, სატუსაღოებში ტუსაღთა შენახვა და მათი მუშაობა ისე მოეწყოს, რომ დასჯას შეეფერებოდესო. კამათში მონაწილეობა მაიღო კარპოვმა, რომელმაც წინადადებას მხარი დაუჭირა; მანუხინმა და დმიტრიევმა ამათ წინადადებაზე კატეგორიულად უარი სთქვეს. კენჭის ყრით წინადადება უარყოფილი იქმნა.

შემდეგი კრება 31 მარტისთვისაა დანიშნული.

## ახალი ამბები

### ტფილისი

— ტფ. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოების წევრთა წლიური კრება კვირას, 27 მარტს მოხდა გ. დ. ჟურულის თავმჯდომარეობით. როგორც გამოირკვა, ბანკის საერთო ბალანსი 10,723,334 მან. 46 კაპ. უდრის. წარსულ წელს წმინდა მოგები ჰქონია 6,634 მან. 3 კაპ. კრებამ დაადგინა, დივიდენდის მცირე ნაწილი კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა სასარგებლოდ გადასდოს. წარსულ წლის ანგარიში და მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულ იქ-

მნა. დასასრულ არჩევნები მოჰხდა; გამგეობის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულ იქმნა ერთხმად თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, საბჭოს წევრებად თავ. ვ. გ. მაჩაბელი, ა. ფ. ყიფშიძე.

◆ **სომხური გაზეთი „სურანდაკი“** გუშინ არ გამოსულა.

◆ 3 აპრილს საარტისტო საზოგადოების თეატრში **გაასამართლებენ არციბაშევის ნაწარმოებთა გმირებს.** დასაწყისი საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე.

◆ რადგან გამოზაფხულდა, უკვე შეუდგნენ ნადიროვის მამულში **სომეხთა სემინარიის** ახალი შენობის აგებას, რომელიც შეჩერებული იყო ზამთარში.

◆ **ცნობილი მდიდარი ა. ი. მანთაშევი** კვლავ მძიმედ ავად გამხდარა.

◆ გუშინ ქალაქის სავაჭრო პოლიციის ზედამხედველმა ნიკ. მარქაროვმა ქალაქის მეხუთე უბანში **საყასბოები დაათვალიერა** და რამდენსამე ყასაბს ოქმები შეუდგინა ხორცის ვაჭრობის შესახებ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის.

◆ 28 მარტს ტფილისში შეიპყრეს ნიკოლოზ კოზლოვსკი და გეორგ სუქიასოვი, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით იყვნენ **გადასახლებულნი** და თავის ნებით დაბრუნდნენ.

◆ ჭლექთან მებრძოლ **კავკასიის საზოგადოებას აბასთუმნის ტყეებში საავადმყოფოს ასაშენებლად** ადგილი იჯარით მიეცა.

◆ ქართულ თეატრში კვირას, 17 აპრილს **ი. გრიშაშვილი** მწერალ-ლიტერატორთა მონაწილეობით გამართავს ორიგინალურ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება: **ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“.** მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი განდეგილი, ცქვიტი და სხვ. ბ. ბ. ალ. ყანჩელი, ი. ელეფთერიძე, კ. მაყაშვილი, სვ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე, ი. მაჰავარიანი, კ. თუმანიშვილი, პ. გოთუა, გ. გვაზავა, გ. ამირეჯიბი, ს. მგალობლიშვილი და სხვა.

◆ **რამდენ საარჩევნო უბნად დაიყოს ქალაქი ტფილისი,** ეს საკითხი ჯერ კიდევ გამოურკვეველია. ქალაქის საბჭო, როგორც მკითხველებმა იციან, სამ საარჩევნო უბნად დაყოფის მომხრეა, ხოლო გუბერნატორი თხოულობს, მეტ საარჩევნო უბნად დაყოფას, ამ საკითხს მოკლე ხანში ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულო კვლავ განიხილავს და შემდეგ თავის დასკვნით კავკასიის მეფის მოადგილეს წარუდგენს. თუ ამ კითხვის გადაწყვეტა რაიმე მიზეზით კვლავ არ შეფერხდა, მაშინ ხმოსანთა არჩევნები მომავალ შემოდგომაზე მოჰხდება. საბოლოო საარჩევნო სიებში შეტანილ იქმნებიან ყველა ის ცენზიანი სახლის პატრონნი, რომელნიც მთლად შეიტანენ იმ დარჩენილ დასაფასებელ გადასახადებს, რომელიც მათზე მიმდინარე წლის ივნისამდე მოგროვდება.

◆ თავ. თუმანიშვილსა, ფედოროვსა და ინჟინერ ტაგიასოვს ნება მიეცეთ **სარკინიგზო გამოკვლევანი** მოახდინონ ტფილისსა და ბაქოს გუბერნიაში.

◆ ფინანსთა მინისტრმა შეუძლებლად სცნო დაკმაყოფილება ბათომის ქალაქის თვითმმართველობის შუამდგომლობისა **2.200,000 მან. სესხის აღების შესახებ.**

◆ უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა კანონპროექტი იმის შესახებ, რომ ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს შედგენილობა და საშუალებანი კიდევ ერთის წლით იყოს გაძლიერებული ამიერ-კავკასიის „პრიკაზ“-ის საქმეთა საბოლოოდ მოსათავებლად.

◆ **ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ დაადგინა:** 1) ტფ. ქალაქის საბჭოს დადგენილება დასავლეთ საქართველოში დაზარალებულთა სასარგებლოდ 500 მან. გადადების შესახებ გააუქმოს და 2) ქალაქ გორის რწმუნებულთა დადგენილება, რომლითაც სათადარიგო თანხადან 300 მან. უნდა ისესხოს მტკვრისა და ფშანის ნაპირების გასამაგრებლად, დაამტკიცოს.

◆ ტფ. **ოლქის სასამართლოს სესია** 27 მარტს სიღნაღს გაემგზავრა სისხლის საქმეთა გასარჩევად.

◆ 28 მარტს **წერა-კითხ. გამავრცელებელ საზოგადოების კრება მოხდა.** კრებამ მსჯელობა იქონია მდივნის დატუსაღების შესახებ. მდივნის თანამდებობის აღსრულება დროებით დაევალა გამგეობის წევრს ლუარსაბ ბოცვას.

◆ სახელმწიფო სათათბიროს 33 წევრმა საკითხი აღძრა იმის შესახებ, რომ **უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის ნება** მიეცეთ რეალურ სასწავლებელსა, სასულიერო სემინარიასა, კადეტთა კორპუსსა, კომერციულ და სხვა საშუალო სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ.

◆ 27 მარტს ტფილისის **პირველ საურთიერთო კრედიტის საზოგადოების** წლიური კრება მოჰხდა. საზოგადოების წარსულ წლის ანგარიშიდან სჩანს, რომ მიმდინარე წლის 1 იანვარს საზოგადოებას $1\frac{1}{2}$ მილიონ მანეთამდე ძირითადი თანხა ჰქონია. წევრი ჰყოლია 2.236. საანგარიშო წელს საზოგადოებას წმინდა მოგება ჰქონია—147,569 მან. 18 კაპ. მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა ნავარაუდევია 76.444 მან. წარსულ წლის ანგარიში, აგრეთვე მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქმნა. დასასრულ არჩევნები მოჰხდა. ბანკის დირექტორად კვლავ თავ. გ. მ. თუმანოვი აირჩიეს. საბჭოს დეპუტატებად არჩეულ იქმნენ: თავ. პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი და ა. ი. ქიშმიშევი. სარევიზიო კომისიის წევრებად: ვ. გ. კანდელაკოვი, ა. ა. ტერ-აბრამოვი და ი. ს. სტეფანოვი, მათ კანდიდატად: მ. ი. სვეშნიკოვი.

◆ **მაზრის უფროსნი:** ტფილისისა—ს. მ. ბობროვსკი და ბორჩალოსი—თავ. ი. ლ. ჯანდიერი ერთი მეორის ადგილას გადაჰყავთ.

◆ **სააღდგომო საჩუქრად** ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მოსამსახურეთა დასარიგებლად წელს **15,000 მან. გადაიდო.**

◆ ტფილისის პოლიციამ ქალაქის სასარგებლოდ 1 მარტიდან 16 მარტამდე 25,636 მან. 88 კაპ. დარჩენილი დასაფასებელი **გადასახადი.** აჰკრიფა ტფილისში.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე პუშკინისა და ალექსანდრეს ბაღის გახსნის შესახებ.

◆ გვთხოვენ გამოვაცხადოთ: როგორც მოგეხსენებათ, შარშანწინ თუმანიშვილისგან დანიშნული იქმნა ნ. გაბუნია-ცაგარელის სახელობის საკონკურსო პრემია. პიესების განხილვა ჩაბარებული ჰქონდა დრამატიულ საზოგადოებას და ვადაც წარსული წლის ნოემბერი იყო დანიშნული. დრამატიულმა საზოგადოებამ ჩაიბარა პიესები, მაგრამ ნოემბრის შემდეგ აი უკვე ოთხი თვე გავიდა, და აღნიშნულმა საზოგადოებამ არამც თუ არ განიხილა აქამდის პიესები, კრინტსაც-კი არა სძრავს, თუ რამ წარმოშვა ეს მიუხვდომელი საიდუმლოება. თუ კონკურსი არ შესდგება რაიმე მიზეზით, გამოაცხადონ მაინც, რომ ავტორებმა დაიბრუნონ დატყვევებული პიესები.

◆ მცხეთაში გაიხსნა წვრილ კრედიტის ამხანაგობა; სახელმწიფო ბანკმა უკვე გადასცა ამხანაგობას საჭირო თანხა.

◆ **როგორც გაგვიგია, რკინის გზის სამინისტრომ განკარგულება მოახდინა ხარჯ-აღრიცხვიდან გადარჩენილი ფული** ისევ მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადაიდოს. შესაფერი განკარგულება კავკასიის რკინის გზის სამმართველომაც მიიღო.

◆ გუშინ მადათოვის კუნძულთან წყალმა მოიტაცა ვეებერთელა ტივის ხე, რომელიც შაფრანოვის წისქვილის ბორბალს დაეჯახა. ბორბლის ფიცრები ერთიანად შემოტვრია და შემდეგ გაჩხერა ალიხანოვის წისქვილის ბორბალში.

◆ 28 მარტს საერთო ჩხრეკა—დაპატიმრების დროს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 135 უპასპორტო.

◆ ტფილისის მაზრის სარიაჟნის ბოქაულს არჩაკ ალბერტოვს სასტიკი შენიშვნა გამოეცხადა სამსახურის დროს დაუდევრობისათვის.

◆ 27 მარტს, ღამით, საბებიო ინსტიტუტში მიიყვანეს ერთი წლის ბავშვი დედობრივი სქესისა. ბავშვი ქუჩაში უპოვიათ.

◆ 27 მარტს დატუსაღებულთაგან უკვე გაუნთავისუფლებიათ ორნი—დანი ბაქრაძეები.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელს ახალ ამბებში შეცდომითაა დაბეჭდილი: „მოწაფეთა ექსკურსია მიემგზავრება პეტერბურგს სურათების გაზაფხულის გამოფენის სანახავად“—უნდა იყოს „სურათების საგაზაფხულო გამოფენის სანახავად“.

## ბ ა ქ ო

◆ მიხეილის საავადმყოფო ვერ აკმაყოფილებს თავის დანიშნულებას, ახალ ავადმყოფებისთვის ალაგი აღარ არის, ამიტომ საექიმო-სასანიტარო ბიურომ გადასწყვიტა, კიდევ ახალი შენობა იქირაოს. ამ აზრით ექიმ ვასილკოვსკის მეთაურობით კომისიამ დაათვალიერა სახლები და მანტაშევის სახლი მოიწონა. იქ **საავადმყოფოს განყოფილებას გახსნიან.**

◆ **ციხესთან მოკლული პოლიციელი** დიდი ამბით დაასაფლავეს. დაესწრნენ: ქალაქის უფროსი, მისი თანაშემწე, პოლიცმეისტერი და სხვ. იყო სამხედრო მუსიკაც.

◆ 25 მარტს, მერკურიევის ქუჩაზე კაფალ მანახოვს თავს დაეცა ოთხი თათარი. ჯერ რაღაც სამუშაოს ფული მოსთხოვეს, უარის მიღებაზე კეტები დაუშინეს და 525 მანეთი წაართვეს.

◆ 25 მარტს მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს ანა, მარიამი და ივანე ბეზიაევები, რომელნიც **თევზით მოწამლულიყვნენ.** ამ ჟამად მათი მდგომარეობა საშიში არ არის.

## ტფ. ქალაქის საბჭოში

28 მარტი.

თავმჯდომარეობს ნ. პ. ქოქჩიევი. ხმოსნებს რამდენიმე შეკითხვა შეაქვთ, რის შემდეგაც საბჭო მორიგ საკითხებზე გადადის.

საბჭომ პირველად განიხილა ქალაქის გამგეობისა და ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიის მოხსენებანი ტფილისში უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე. საბჭომ, თანახმად ამ მოხსენებისა, დაადგინა, მთელი მასალა უნივერსიტეტის შესახებ სახალხო განათლების მინისტრს კასოს გაუგზავნოს, ამასთან დაავალოს ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს, დაესწროს საუწყებათაშორისო თათბირს, რომელმაც ახალ უნივერსიტეტების გახსნის თაობაზე უნდა იმსჯელოს.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა თამამშევების მიერ ერევნის მოედანზე, ქარვასლის წინ, საქალაქო მიწის მითვისების შესახებ.

როგორც მკითხველებმა იციან, თამამშევებმა ქარვასლის წინ კარგა ხანია მიითვისეს ადგილი და ზედ შენობებიც ამართეს. ქალაქმა საჩივარი აღძრა და ოლქის სასამართლოში საქმე კიდეც მოიგო. ამის შემდეგ ქალაქის გამგეობამ მოისურვა თამამშევებთან მორიგებით საქმის გათავება. შეთანხმება კიდეც მოჰხდა. თამამშევებმა უნდა აიღონ ყველა შენობები ქარვასლის წინ, მხოლოდ არხი კი უნდა დასტოვონ.

საბჭომ კამათის შემდეგ მიიღო გამგეობის წინადადება საქმის მშვიდობიან მორიგებით გათავების შესახებ.

საბჭომ მოიწონა და უკამათოდ მიიღო გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ გიგოლოვისა და ქანანოვისაგან ქალაქის მეშვიდე უბანში შეიძინოს მიწა სკოლების საჭიროებათათვის, პირველისგან საჟენი—10 მან., ხოლო მეორისაგან—12 მანეთად.

საბჭომ მიიღო აგრეთვე ანდრია არზუმანის ძის ტიუნიპეკოვის მიერ ქალაქისთვის ანდერძით დატოვებული ქონება, რომლის წმინდა შემოსავალი წელიწადში ერთხელ ღარიბთ უნდა დაურიგდეთ (თითო კომლს არა ნაკლებ 25 მანეთისა).

ამას წინად გარდაცვლებულმა ა. ი. შახაროვმა ტფილისის ქალაქის თვითმმართველობას ასჯრახანში 1,200 დესეტინა მიწა დაუტოვა. ქალაქის თვითმმართველობა სიშორის გამო ამ მიწით, რასაკვირველია, წესიერად ვერ სარგებლობს. ამიტომ ქალაქის გამგეობას დაუდგენია, ეს მიწა 10,500 მან. გაჰყიდოს და აღებული ფული სარგებლიან ქაღალდებად აქციოს. ქალაქის საბჭომ ეს დადგენილება უკამათოდ დაამტკიცა.

საბჭომ მოიწონა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ლოტკის გორასა და ნაძალადევში საქალაქო მიწების მოიჯარადრეებს ამ მიწების გამოსყიდვის ვადა 1912 წლის 1 იანვრამდე გაუგრძელდეთ.

უკამათოდ მიღებულ იქმნა აგრეთვე გამგეობის დადგენილება, რომლითაც საჩივარი მორიგებით უნდა იქმნეს გათავებული პ. სერგიენკოსთან, რომელმაც პრიბილევის დამართზე ქალაქის მიწა მიითვისა.

კრება ღამის 11 საათზე გათავდა.

## მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სტოლიპინის აზრი კავკასიის რეფორმებზე.

ტფილისის ქალაქის მოურავი ა. ხატისოვი პეტერბურგიდან შემდეგს იწერება:

„ვსარგებლობ პრემიერ-მინისტრ პ. ა. სტოლიპინის დასტურით, რათა მასთან ყოფნის დროს ჩვენი საუბარი გამოვამჟღავნო; ვეცდები საუბარი და მინისტრის მიერ ნათქვამი სისწორით და ზედმიწევნით აღვადგინო კავკასიის მომავალ რეფორმებზე.

პ. ა. სტოლიპინის კაბინეტში შესვლისათანავე, სიტყვა ამ ფრაზით დავიწყე:

„როგორც ქალაქ ტფილისის წარმომადგენელი მოვალე გახლავართ ტფილისის საჭიროებანი და ტფილისის საბჭოს მიერ აღძრული შუამდგომლობანი მოგახსენოთ, და თქვენის მაღალკეთილშობილებისაგან დახმარება ვითხოვო იმ საქმეში, რომელსაც ხალხისათვისა და ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს—სახელდობრ...

— „უმაღლესი სასწავლებელი, განა?—ჩემს მაგიერ სიტყვა დაამთავრა მინისტრმა.

— დიახ. თქვენო მაღალკეთილშობილებავ საიდან იცოდით, რომ სწორედ ამაზე მოგახსენებდით?

— ჯერ ერთი იქიდანა, რომ მათი ბრწყინვალება კავკასიაში მეფის მოადგილე იწერებოდა ამის თაობაზე, მეორეც—მე ვიცი, რომ კავკასიას და კერძოდ ტფილისს გულითადი სურვილი აქვს უმაღლეს სასწავლებლის დაარსებისა. ამ საკითხის თაობაზე შემდეგს გეტყვით: მე ვფიქრობ, რომ კავკასიაში, სახელდობრ ტფილისში საჭიროა უმაღლეს სასწავლებლის დაარსება. მაგრამ ტფილისის საზოგადო სამმართველოს სახელდობრ როგორი უმაღლესი სასწავლებელი ჰსურს?

# გაუსწორებელი დოგმატიკოსები

(შემდეგი)

3.

ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად მარტო თეორეტიული მოსაზრებანი არა კმარა. საჭიროა, რომ ეს მოსაზრებანი ცხოვრების სინამდვილეს ეთანხმებოდეს. ჩვენში კი ასე არა ჰხდება. ჩვენში დამზადებულ, ყოველს დროისათვისა და ქვეყნისათვის შემუშავებულ ფორმულას იღებენ სახელმძღვანელოდ და ადგილობრივ ცხოვრების პირობებსაც ისეთ შუქს აყენებენ, რანაირსაც ეს ფორმულა მოითხოვს. ასე ემართებათ ხოლმე ყოველთვის ჩვენს მოწინაამდეგეებს სომეხ-ქართველთა ურთიერთობის გამორკვევის დროს.

საქართველოში ქართული ბურჟუაზია, ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით, არ არის. ამას ყოველთვისა ჰხედავდნენ ჩვენი მოწინააღმდეგენიც, მაგრამ მაინც არ უნდოდათ ამ ფაქტიდან ისეთი დასკვნა გამოეყვანათ, რანაირიც ლოღიკურად გამომდინარეობს. გავიხსენოთ ცნობილი წერილები ნ. ჟორდანიასი, რომელიც ცდილობდა გამოეძებნა მოქალაქობრივ ცხოვრების განვითარების მიზეზები. დოგმატიური აზროვნება მოითხოვდა იმას, რომ მოქალაქობრივი ცხოვრების განვითარება შედეგი ყოფილიყო ეკონომიურ პირობების შეცვლისა. ფეოდალური წეს-წყობილება ირღვეოდა. თანახმად მარქსისტულ მრწამსისა, ფეოდალურ ცხოვრების პირობები უნდა მოესპო ბურჟუაზიულ წეს-წყობილებას. ნ. ჟორდანიამ გაიხედ-გამოიხედა და დაინახა, რომ ქართული ბურჟუაზია არსად არსებობს. როდესაც ამას დაჟინებით ამტკიცებდნენ მისი მოწინააღმდეგენი, ბ-ნი ჟორდანია და მისი მოაზრენი უვიცობასა და სხვა ამგვარ რამეებს სწამებდნენ. მაგრამ გავიდა დრო და 1911 წელიწადს ბ-ნმა ნ. ჟორდანიამ თვითონვე აღიარა თავისი შეცდომა. „ნ. ჟორდანიას რჩეულ ნაწერების“ წინასიტყვაობაში ასეთს საგულის-ხმიერო სიტყვებს ვკითხულობთ: „ემხრობით ახლა ყველა იმ აზრებს, რაც თავიდანვე გამოგითქვამთ? უეჭველია შემეკითხება მკითხველი. ძნელია იმაზე გადაჭრილი პასუხის მიცემა. შესაძლებელია ზოგი წვრილმანი აზრი დღეს აღარ დავიცვა, ზოგი სხვანაირად დავასაბუთო, ზოგსაც სხვა მნიშვნელობა მივსცე, მხოლოდ ერთს კი ვიტყვი გადაჭრით: ის მთავარი აზროვნება, რაც წითელი ზოლივითაა გაწოლილი ჩემს ნაწერებში, ჩემი მთავარი აზროვნებაა დღესაც და ასევე დარჩება მომავალშიაც. შემიძლიან დავასახელო ერთად-ერთი ანგარიშ გასაწევი მაშინდელი მოსაზრება, რომელიც შემდეგ არ გამართლდა, ამ 12—15 წლის წინეთ გვეგონა, რომ ქართული კაპიტალი და ქართველი ბურჟუაზია უფრო სწრაფლად გამძლავრდებოდა, ვინემ ეს ნამდვილად მოხდა. ცხადია, მაშინ **ინტერნაციონალური** კაპიტალის როლი კავკასიაში საზოგადოდ, და საქართველოში—კერძოდ, ნათლად არ გვქონდა წარმოდგენილი. მე მგონია შეუძლებელიც იყო იმ დროს ასეთი წარმოდგენის შედგენა, ვინაიდან უცხო კაპიტალის ძლევამოსილი მსვლელობა შემდეგ დაიწყო. ამიტომ ახლა აღარ ვიზიარებ იმ აზრს, რომელიც მე გამოვსთქვი სომხის კაპიტალის შესახებ 1896 წელს. რაკი ქართველმა ბურჟუაზიამ (თუ ქართველი ბურჟუაზია? ა. ჯ.) იმდენად ვერ გაიზარდა, რომ საზოგადო ასპარეზს დაპატრონებოდა და იქიდან კეთილშობილი წოდება გაეძევებინა, ცხადია ეს როლი უნდა ეტვირთა ქართველ მუშა ხალხს. მეორე მხრით, რაკი ეს გაძლიერდა და გამრავლდა ინტერნაციონალური კაპიტალის გავლენით, აშკარაა მისი პოლიტიკური დროშაც ინტერნაციონალური უნდა ყოფილიყო და ამ იარაღით შეკაზმული ბრძოლის ველზე დამდგარიყო. აი ამ პირობებმა იქონია გადამჭრელი გავლენა მოძრაობის ტაქტიკური, ორგანიზაციული და ნაციონალური კიოხვების გამომუშავებაზე“.

სანამ ჩვენს მსჯელობას განვაგრძობდეთ, ცოტა ხანს შევჩერდებით ბ-ნ ნ. ჟორდანიას მიერ დასახელებულ წერილზე, რომელსაც ეხლა ავტორი აღარ ეთანხმება და რომლის შეფასებაც ძალიან გაგვიადვილებს ჩვენს მოსაზრებათა სიმართლის დამტკიცებას. ის წერილი ბ-ნ ნ. ჟორდანიას დაუწერია 1896 წ., სათაურად აქვს „მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება“. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ სომეხ-ქართველთა ურთიერთობას, როგორც ეს მაშინ ბ-ნ ნ. ჟორდანიას ესმოდა და რომელიც დღეს სულ სხვანაირადა აქვს წარმოდგენილი.

ბ-ნი ჟორდანია მიზნად ისახავს მაშინდელ საზოგადოებრივ ჯგუფთა ურთიერთობის განხილვას. იგი ხედავს, რომ აღმოცენდა ახალი კლასი, რომელიც მომავალში დიდს როლს ითამაშებს საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებაში. მსჯელობის დროს იგი შეეხება სომეხ-ქართველთა ურთიერთობასაც და ისეთი დასკვნა გამოჰყავს, რომელიც ჩვენ ფრიად საგულისხმიეროდ მიგვაჩნია და თვით ბ. ნ. ჟორდანიას კი დღეს აღარ მოსწონს. აი, როგორ ახასიათებდა 1896 წელს ნ. ჟორდანია სომეხ-ქართველთა ურთიერთობას. სომხობა შემოხიზნული ელემენტია. ამ შემოხიზნას ერთის მხრით სომხეთის სამეფოს დაცემამ შეუწყო ხელი, მეორის მხრით—თვით საქართველოს საჭიროებამ. საქართველოს ვაჭართა კლასი ესაჭიროებოდა, და ქართველი მეფეებიც ხელს უწყობდნენ სომხების შემოხიზვნას. ეს, მართლაც სრული ჭეშმარიტებაა. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს იმ ფრიად გავრცელებულ აზრს, თითქოს საქართველოს მეფეები მხოლოდ კაცთ-მოყვარეობისთვისა და სტუმართ-მოყვარეობით ასახლებდნენ სომხებს საქართველოში. სომხების ჩამოსახლება საქართველოში ქართველ მეფეებს იმიტომ უნდოდათ, რომ ვაჭრობა, აღებ-მიცემობა განვითარებულიყო. ამნაირს მოვლენას ჩვენ სხვა ერთა ცხოვრებაშიაც ვხედავთ. პოლონეთი, ჩეხია, რუსეთიც კი თავიანთ ისტორიულს წარსულში ბლომად ასახლებდნენ ებრაელებს თავიანთ საზღვრებში და პრივილეგიებსაც კი ანიჭებდნენ, რადგანაც ძალიან კარგად ხედავდნენ, რომ ებრაელები აღებ-მიცემობას ანვითარებდნენ. სომხების ჩამოსახლებას სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვდა, და ქართველი მეფენიც აკმაყოფილებდნენ ამ აუცილებელ საჭიროებას.

საქართველოში ჩამოსახლებული სომხები გაძლიერდნენ. გავიდა დრო, და ეკონომიურს ცხოვრების ასპარეზზე ქართველებიც გამოვიდნენ. „ეკონომიურს ასპარეზზე დღეს მარტონი არა ვართ,—სწერს ბ-ნი ნ. ჟორდანია,—ჩვენთან ერთად მოქმედებენ სხვა და სხვა ტომის ხალხი. ესენი ერთსა და იმავე ალაგას ერთმანეთს ეცილებიან, თვითეული მიილტვის საკუთარ ინტერესებისაკენ, **ხოლო ყველანი ქართველობის ზურგზე გადადიან.** (ხაზ-გასმული ყველგან ჩვენია. ა. ჯ.) მათ შორის ბრძოლაა, თუ რომელი უფრო გაბატონდება ადგილობრივ ხალხზედა. ერი, ეკონომიურად განვითარებული, განვითარებულია კულტურულადაც. ცხადია, ქართველების კულტურული კითხვა ეს მისი ეკონომიური კითხვაა. ამ გზაზე ის გამოვიდა, მაგრამ წინ დაუხვდნენ უკვე გზაზე გამოსულნი და უკეთ შეიარაღებულნი. აი აქ ბრძოლა ასტყდა, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოდ და საჭიროა ამის გაგება“.

ერთი იმ ერთაგანი, რომელიც „სამკვდრო-სასიცოცხლოდ“ ებრძოდა ქართველობას, არის სომხობა, რომელსაც, გამარჯვების მისაღწევად, არა საკადრის საქციელისთვის მიუმართავს. სომხობა, როგორც განსაკუთრებით ვაჭრული კლასი, საჭიროებს ძლიერს სახელმწიფოს. სანამ საქართველო ძლიერი ყოფილა, სომხობაც ემხრობოდა მას და საქართველოს აყვავება თავის საკუ-

— უნივერსიტეტი, თუმც გარეშე მოსაზრებანიცა გვაქვს მხედველობაში და ნარევ ტიპისას ვშუამდგომლობთ—უნივერსიტეტს პოლიტეხნიკუმის განყოფილებით.

— ჩემის აზრით—განაგრძო მინისტრმა—ყველაზე ადვილი საექიმო ფაკულტეტის გახსნაა, სახელდობრ იმისათვის, რომ ახალ უმაღლეს სასწავლებელთათვის პროფესორებიც არა გვყავს. საზოგადოდ ეს გარემოება კერძოდ მე ყველაზე უდიდეს დაბრკოლებად მიმაჩნია უმაღლეს სასწავლებელთა გამრავლების საქმეში; საექიმო ფაკულტეტისათვის კი პროფესორების შოვნა, შედარებით, ადვილია. რაც შეეხება საქმის ნივთიერ მხარეს, კალოქების და დაწესებულებათა შემოწირულებანი, როგორც თქვენ ამბობთ, მცირე არ არის და მე მგონია მინისტრთა საბჭო შესაძლებლად სცნობს ხაზინის მხრივაც ფულის გადადებით დაგეხმაროთ. მაგრამ მე საქმის ერთი მხარეც მაინტერესებს: ეხლა თქვენი ახალგაზრდობა კავკასიიდან რუსეთში მოდის, აქ ისინი რუსეთის კულტურის ზედგავლენას განიცდიან, ცხოვრების ახალს წრეში შედიან, ყოველმხრივ ვითარდებიან,—იმათთვის განა-სამ ჯობინო იქნება, ასე ვთქვათ, შინ დარჩენა?

— მაგრამ რამდენი ახალგაზრდაა მოკლებული უმაღლეს განათლებას, რამდენი ხელმოკლეობისა გამო კავკასიიდან ვერ წამოსულა, და რამდენი მათგანი იღუპება აქ, შეუჩვეველ ჰავის გამო—შევნიშნე მე.

— ეგ მართალია—დამემოწმა მინისტრი. ამ გვარად, თქვენ შეგიძლიანთ ჩემი იმედი იქონიოთ ტფილისში უმაღლეს სასწავლებლის დაარსების საქმეში, და სადაც კი საჭიროა ამ საკითხში ხელს შეგიწყობთ. მეორე საკითხი, რომლის გადაწყვეტაც ქვეყნისთვის დიდმნიშვნელოვნად მიმაჩნია—ეს საუღელტეხილო გზაა. თქვენა გგონიათ, ვითომც შავ-ზღვის გზის გაყვანის გადაწყვეტილება, რაც თქვენთვის დიდად სასარგებლოა—საუღელტეხილო გზის გაყვანას შეაფერხებს? მე ასე არა მგონია. მინისტრთა საბჭოში შავიზღვის გზას დიდი უპირატესობა მიეცა, რადგანაც მისი გაყვანა 2—3 წელიწადში მოთავდებაო, საუღელტეხილო გზას კი, როგორც ამბობდნენ 8 წელიწადი მაინც მოუნდება,—ეს ჩემთვის იმასა ჰნიშნავს, რომ მის გაყვანას 12 წელიწადიც მოუნდება—მაშინ როდესაც კავკასიასთან მიმოსვლა უფრო სწრაფი უნდა იყოს და მოკლე ხანშიაც. ამასვე თხოულობს სამხედრო უწყებაც. კავკასია კი იმდენად მდიდარი და ყოველმხრივ დიდმნიშვნელოვანია, რომ ორივე გზის ღირსია—შავიზღვისაც და საუღელტეხილოსიც. გეცოდინებათ, რომ მთავრობამ სათათბიროში წინადადება შეიტანა, რათა საუღელტეხილო გზის პროექტის შესამუშავებლად 300,000 მანეთი გადაიდოს—ეს უკვე იმას მოასწავებს, რომ მინისტრთა საბჭო საუღელტეხილო გზის მომხრეა.

საუღელტეხილო გზის თაობაზე სათათბიროს გზათა კომისიის თავმჯდომარეს ბ. მარკოვს ვესაუბრე, და ვწუხვარ, რომ იგი საუღელტეხილო გზას გულცივად ეკიდება.

— მე შევიტყე, რომ ამ საკითხში კავკასიის რკინის გზის ინტერესებს ჰქონია გავლენა—მოვახსენე მე.

შესაძლოა—სთქვა მინისტრმა—ყოველ შემთხვევაში ეს მორიგი საკითხია და მე მისი მომხრე ვარ. მე ვიცი—განაგრძო სტოლიპინმა—რომ კავკასიაში ერობის საკითხიც დიდად აინტერესებთ. ეს საკითხი ფრიად რთული და ძნელია; ჯერ ერთი კავკასიაში მოიპოვება საკმაო ინტელიგენტური ძალა ადგილობრივ, გუბერნიებში, ერობაში სამოღვაწეოდ, და მეორეც—თქვენში მეტად აწეწილ-დაწეწილია ეროვნული და საადგილ-მამულო დამოკიდებულებანი, რომელიც რამდენიმე წლის წინედ ურთიერთშორის სისხლის ღვრამდე მივიდა—ყოველივე ეს ხელშემშლელი პირობებია ერობის დაწესებულებათათვის, ხომ მართალია?

— შემიძლიან დაგარწმუნოთ,—შევნიშნე მე—რომ კავკასიაში სრულიად საკმაო რიცხვია ერობაში სამოღვაწო პირთა—ამას საერობო თათბირიც ადასტურებს,—რაც შეეხება მომხდარს განხეთქილებას, იგი დროებითის ხასიათისა იყო, უკვალოდ გაჰქრა და აღარც განმეორდება. რაც შეეხება კავკასიაში საერთო მდგომარეობას—კავკასია სრულებით დაწყნარებულია და კულტურული მუშაობა სწყურიან, აქა-იქ მომხდარი სისხლის სამართლის საქმენი ყველგან აუცილებელია. მზად ვარ ეს აურაცხელ საბუთებით დავამტკიცო და მოხარული ვარ, რომ თქვენის მაღალიდმატებულების წინაშე შემიძლიან ამისი მტკიცება.

— პირადად მე—სთქვა ბ. მინისტრმა—კავკასიას ნაკლებ ვიცნობ, მაგრამ ყველა იქიდან ჩამოსულნი თქვენს ნათქვამს ამოწმებენ. რაც შეეხება საადგილ-მამულო განწყობილებას, კავკასიაში მის მოსაწესრიგებლად — როგორც მინისტრთა საბჭოში სენატორმა ე. ა. ვატაციმ განმარტა—დიდი მნიშვნელობა ექნება დროებით ვალდებულ გლეხთა კანონისა და გლეხთა განსაკუთრებულ „მთიულის უფლებათა“ განწყობილების გაუქმებას. თუ ეს კანონი ზაფხულამდე სათათბიროში ვერ გაივლის—ყოველ შემთხვევაში სათათბიროს კომისია მაინც მოასწრობს მის განხილვას. მის ყოველმხრივ შესამუშავებლად ტფილისშიაც და აქაც ბევრი შრომა დაიხარჯა.

თქვენ, როგორც მოქალაქეს და ქალაქის წარმომადგენელს ერობის საკითხი, ალბად, ნაკლებ გაინტერესებთ, ვიდრე უნივერსიტეტის დაარსება!

— არა,—მიუგე მე—როგორც ქალაქის წარმომადგენელი დაინტერესებული ვარ, ერობის შემოღების დაჩქარებაში, ხალხის ჯანმრთელობისა, საზრდოების, განათლებისა და მიმოსვლისა, საქმეებისათვის,—მეორეც, ჩვენ, კავკასიის მოქალაქენი ჯერ კიდევ სოფელთან ახლო ვართ. ბევრს ჩვენთაგანს ღვიძლი კავშირი აქვს სოფელთან.

აუდიენციის დასასრულს ბ-მა მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრობა დღევანდელ დღეს ფრიად დაინტერესებულია დიდ ქალაქთა ზრდაში და ქალაქ ტფილისსაც აყვავება უსურვა.

რათა აღძრულ საკითხთა მდგომარეობა გაგაგებინოთ, გატყობინებთ, რომ გზათა სამინისტრომ 1910 წ. 28 ნოემბერს სათათბიროში მოხსენება შეიტანა, რათა საუღელტეხილო გზის გამოსაკვლევად 300,000 მანეთი გადაიდოს; როგორც რკინის გზათა გამყვან სამმართველოს უფროს ე. დ. ვურცელისაგან შევიტყე—ამ თანხის დახარჯვა სათათბიროს მიერ სამინისტროს წინადადების განხილვით მოხდება, ხოლო ჯერ ეს განხილვა არ მომხდარა. ჩემ მიერ შეკრებულ ცნობებით, ამ სესხისა და ამ გზის მოწინააღმდეგე სათათბიროს გზათა კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ნ. ლ. მარკოვია.

ტფილისის უნივერსიტეტის კანონ-პროექტს კი,—როგორც გუშინ სახალხო განათლების მინისტრმა ლ. ა. კასსომ გადმომცა—საზოგადო თათბირის დროს განიხილავენ ნაღდგომვეს მისის თავმჯდომარეობით, ხოლო კავკასიის უმაღლეს მთავრობის წარმომადგენლად სენატორი ე. ა. ვატაცი და საბჭოს წევრი ნ. ფ. დეუნდოვსკი იქნებიან. როგორც სჩანს, ტფილისის უნივერსიტეტის საკითხს უმაღლეს მთავრობისა და სათათბიროს წრეებში სერიოზული ყურადღება მიექცევა. ამის გამო ამ საკითხისთვის ადგილობრივ განსაკუთრებული გულმოდგინე მუშაობაა საჭირო“.

**ალ. ხატისოვი.**

**მოვაგონებთ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან, ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი, გაზეთის გზავნა ესპობათ.**

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

## უცნაური სტატისტიკა

ამას წინად „სახალხო გაზეთში“ ამოვიკითხე შემდეგი ცნობა: „ტფილისში სულ 305,207 მცხოვრები ყოფილა. აქედან ქართველები 54,120, სომხები 124,901, რუსები 67,087 (უთუოდ ჯარით), სხვა ეროვნებისა 59,100“.

გაზეთი არ იხსენიებს, რომ ეს ცნობები მიიღო მან ტფილისის საბჭოსაგან და თვითონაც მათის სიმართლის შესახებ მცირეოდენ ეჭვსაც არ აცხადებს. ამის გამო მკითხველი ადვილად ირწმუნებს ამ ცნობებსა და გული ეტკინება. მაგრამ რამდენად სანდოა ამ გვარი სტატისტიკა, პჰერმეტყველურად ლაღადებს შემდეგი მაგალითი:

1902 წელს გერცენშტეინმა გამოსცა რუსული კალენდარი, რომელშიაც მოყვანილი იყო საზოგადო რაოდენობა ტფილისის მცხოვრებლებისა და დანაწილება ამ რაოდენობისა სხვა-და-სხვა ერთა შორის. გერცენშტეინი აცხადებდა, რომ სტატისტიკური ცნობები ტფილისის საბჭოსაგან მივიღეო. ამ დოკუმენტებით, მაშინ, რვა წლის წინად, ტფილისში თურმე იყო სომხები 63,003 სული, ქართველი 39.898 სული. როდესაც ამ სტრიქონების დამწერმა კარგად გაცხრილა ეს ცნობები თავისს ვრცელს წერილში, აღმოჩნდა, რომ ქართველთა რიცხვი თითქმის უდრიდა სომხეთა რიცხვსა. ხომ ჩინებული ოინია? მაგრამ უფრო ჩინებულია ის, თუ რა ხერხით მოხდა ეს ოინი? სრულიად უბრალოდ.

საბჭოს, თუ პოლიციას, დოკუმენტებში თურმე ქართველებად მოხსენებულნი იყვნენ მხოლოდ ქართლელ-კახელები. ქართველთა რიცხვიდგან გამოტოვებულნი იყვნენ და ცალ-ცალკე ნაციებად მოხსენებულნი ტფილისში მცხოვრებნი: იმერლები, გურულები, მეგრელები, ფშაველები, თუშები, ხევსურები და სხვა კუთხის ქართველები. სომხებად მოხსენებულნი იყვნენ არა მარტო ქართველი გრიგორიანები, არამედ ყველა ქართველი კათოლიკეებიც.

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ახლანდელი სტატისტიკაც ტრადიციულის „მიუდგომლობით“ შეუდგენიათ, და იგი იმდენადვე უნდა ეთანხმებოდეს სინამდვილეს, რამდენადაც შეესაბამებოდა მას რვა წლის წინად. თორემ როგორ მოხდა, რომ რვა წლის განმავლობაში სომხეთა რიცხვი ავიდა 63 ათასიდან 125 ათასამდე და ქართველთა რაოდენობა კი თითქმის იმავე დონეზე დარჩა; იგი დღესა უდრის მხოლოდ 54 ათასსა და შეადგენს მეექვსე ნაწილს მცხოვრებლებისას იმისთანა ქალაქში, რომელიც იყო ათასის წლის განმავლობაში სატახტო ქალაქად მთელის საქართველოისა და მხოლოდ გუშინ დაჰკარგა ეს მნიშვნელობა.

ამ საკითხის დიდი მნიშვნელობა ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, და უკიდურესად საჭიროა, რომ ქართველმა პრესამ სრული ყურადღება მიაქციოს, დაწვრილებით გამოიკვლიოს საბჭოს, თუ პოლიციის, ცნობები, გაცხრილოს იგინი, საკითხს სრული სინათლე მოჰფინოს, და სტატისტიკურის სიყალბის ჩადენა შემდეგში შეუძლებელი გახადოს.

ჩვენებურ მკვლევართ დახმარებას გაუწევს, სხვათა შორის, ჩემი წერილი, რომელიც დაბეჭდილია ჩემს რჩეულს ნაწერებში ამ სათაურით: „**კალენდრებიც ჩვენი გვჩაგრავენ**“ (379 გვერდი).

ამას საჭიროდ ვრაცხს დავუმატო შემდეგი:

რვა წლის წინად, 1902 წელსა, იმ სტატისტიკურს განყოფილებაში, რომელიც მოსდევდა ქართველების, რუსების და სომხების რაოდენობის აღრიცხვას და რომელსაც ერქვა; „დანარჩენი ეროვნებანი“, ბლომად აღმოჩნდნენ ქართველები სხვა და სხვა პროვინციალური სახელწოდებით. ეს უკანასკნელი განყოფილება ახლანდელის სტატისტიკაში თორმეტჯერ უფრო მრავალ-რიცხოვანია წინანდელზე. უწინ ამ განყოფილებაში ნაჩვენები იყო 4509 სული, ახლა კი 59,000 სულია. ამ რიცხვში უფრო ბლომად უნდა იყვნენ მოქცეულნი სხვა და სხვა კუთხების ქართველები თავისი პროვინციალური სახელწოდებით, გამოყვანილნი არა ქართველებად, და ამ რიგად შემცირებული იყოს რაოდენობა თბილელს ქართველებისა.

ხოლოდ არ უნდა ვიფიქროთ, თითქო აქ უსათუოდ ბოროტი განზრახვა მუშაობდეს. ძალიან შესაძლებელია, რომ ეს შეცდომა იყოს ნაყოფი უფრო ეტნოგრაფიულის უვიცობისა, იმ პირთა უვიცობისა, რომელთაც მინდობილი აქვთ შეკრება სტატისტიკური ცნობებისა... როდესაც მოსკოვში, ან პეტერბურგში, მესტატისტიკე ეკითხება რუსს გლეხსა, ვინა ხარო, ის რუსად კი არ ასახელებს თავის თავსა, რადგანაც დარწმუნებულია, რომ თვითონ შემკითხველმაც კარგად იცის ესა, არამედ ასახელებს გუბერნიას, საიდგანაც არის: მოსკვიჩიო, კიევლიანინიო, რიაზანეციო, ხარკოვეციო, სარატოვეციო და სხვანი. სატახტო ქალაქების მესტატისტიკენი რომ უვიცნი ყოფილიყვნენ, თავის ცნობებში იმდენს ნაცვას გამოიყვანდნენ, რამდენიც გუბერნია რუსეთში. მაგრამ იგინი შეგნებულნი არიან და ყველა გუბერნიის მცხოვრებლებს რუსებად სწერენ თავისს გამოკვლევაში.

ტფილისშიც, როცა პროვინციელ ქართველს ეკითხებიან ვინაობას, იგი ქართველს კი არ უწოდებს თავის თავს, რადგანაც ჰგონია, რომ ეს თვითონ მისმა მესაუბრემ კარგად უნდა იცოდეს, არამედ პროვინციალურს სახელს ხმარობს: ინგილო, თუში, მესხი, გუდამაყრელი, მთიული, ლეჩხუმელი, ახალციხელი თათარი (გამაჰმადიანებული ქართველი) და სხვა. მესტატისტიკესაც ამ პროვინციალური სახელებით ჩააქვს ისინი თავის დავთარში, დარწმუნებული, რომ ეს პროვინციები დასახლებული არიან არა ქართველი ხალხით, არამედ სხვა ხალხებით. რაღა საკვირველია ამის შემდეგ, თუ ბევრი პროვინციალური ქართველი გამორიცხულია ქართველთა რიცხვიდან, ჩაქსოვილია სხვა ეროვნებათა განყოფილებაში და ქართველთა საზოგადო რაოდენობა ტფილისში მეტად შემცირებულია. ამ მხარეს სხვათა შორის საკითხისას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ ქართველებმა, რომელნიც ამ საქმის გამოკვლევას შეუდგებიან.

სტატისტიკური ცნობები, უბანუბან დაყოფილი, მხოლოდ ერთმა ქართულმა გაზეთმა გამოაქვეყნა, სახელდობ „ახალმა საქმემ“. თუ კარგად ჩაუკვირდებით უბანთა მცხოვრებლების რაოდენობას, მრავალი კითხვითი და გაკვირვებითი ნიშანი აგეტუზებათ წინ. მაგალითად, მთაწმინდის უბანში, მესტატისტიკეთა სიტყვით, ამ ჟამად თურმე არის 4255 ქართველი და 12,905 სომეხი. როცა ჩემს მოსამსახურეს, დიდი ხნის მცხოვრებს მთაწმინდაში, წავუკითხე ესა, გადიხარხარა და სთქვა: ზოგბა ტყუილიც მაგასა ჰქვიანო. ქართველობა მთაწმინდაში აშკარად აღემატება სომხობასაო. და მართლაც, თუ აქ სომხობა ერთი სამად მეტია ქართველობაზე, როგორ მოხდა, რომ მათ მხოლოდ ერთი პატარა ეკლესია აქვთ გრიბოედოვის ქუჩაზე, როდესაც სტატისტიკა რომ მართალი იყოს, სამი ეკლესია უნდა ჰქონოდათ ამ უბანში. თუ მთაწმინდელთა ენას ყურადღებას მიაქცევთ, დარწმუნდებით, რომ აქაური სომხები, დიდით პატარამდინ, ქალით-ვაჟამდინ სულ ქართულად ლაპარაკობენ—არამც თუ გარედ, არამედ თავისს შორისაც. მათგან სომხურს ლაპარაკს იშვიათად მოჰკრავ ყურსა, მაშინაც კი, როცა სომეხი სომეხს ესაუბრება. თუ ოთხს მთაწმინდელში სამი სომეხია და მხოლოდ ერთი ქართველი, როგორ მოხდა, რომ ერთმა სძლია სამსა და თავისი ენა შეათვისებინა. ასევე უნდა ითქვას ვერის უბანზე და ზოგიერთა სხვებზედაცა.

მხოლოდ ქუჩების მუშები ლაპარაკობენ მარტო სომხურად, ინჩაც არ იციან ქართული და ქართველი მცხოვრები მათ ვერასფერს გააგონებს, რაც უნდა საჭირო საქმე

თარ კეთილ-დღეობად მიაჩნდა. მაგრამ გაჩნდა რუსეთი, და სომხობამაც იმისკენ იბრუნა პირი. „სანამ მისი საზღვრები ჩვენგან შორს იყო,—სწერს ბ. ნ. ჟორდანია,—მანამ სომხებიც ძალა-უნებურად საქართველოთი უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. მარა, როგორც კი საზღვრები მოიწია, მოგვიახლოვდა, მისვლა-მოსვლა ცოტაოდნად გაადვილდა, მაშინ სომხებს საშუალება მიეცა თავის-თავისათვის უფრო რიგიანათ ეზრუნათ, და აი, საქართველოს დაცემის ისტორიაში ისინი შესამჩნევ როლს სთამაშობენ“. ამ ადგილს ბ. ნ. ჟორდანია შენიშვნას უკეთებს. ჩვენ ეს შენიშვნა უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია, ვიდრე ზევით ამოწერილი ტექსტი და ამიტომ ამ შენიშვნასაც მთლიანად მოვიყვანთ. „მკითხველი იტყვის,—სწერს ნ. ჟორდანია,—ქართველებიც ასეთს როლს თამაშობდნენო; სრული ჭეშმარიტებაა, მარა აქ ჩვენ სომხებზე გვაქვს ბაასი. მეორეთ, ჩვენი აზრი სრულიად არ მოითხოვს იმას, რომ უეჭველათ თვითეულ სომეხს ქართველობის წინააღმდეგ ემოქმედნა. ჩვენ ვამბობთ: **ასეთი იყო მათი ინტერესი**, ხოლო რამდენათ თვითეულ სომეხმა ეს შეიგნო ეს კიდევ სხვა კითხვაა, კერძო და საზოგადო ინტერესი ხშირათ ერთი და იგივე არ არის!“. ამის შემდეგ ნ. ჟორდანიას მოჰყავს რამდენიმე მაგალითი იმისი, თუ რანაირს საშუალებას ხმარობენ სომხები, ოღონდ კი საქართველოს კეთილ-დღეობისათვის ძირი გამოეთხარათ, და ბოლოს ასეთს დასკვნას ადგება: აი ასე მოქმედობდნენ სომხები, **ამას მოითხოვდა მათი წარმატება, მათი მერმისი**. ეს მათ კარგათ შეიგნეს და თვითონ ქართველობის დახმარებით ჩინებულათაც შეასრულეს. სომხებმა, ქართველი მთავრობის შემწეობით, საქართველოში ქონება შეიძინეს და ბოლოს ამავე მთავრობის დასაცემათ კაცებს იქრთამავდნენ. სანამ საქართველოს თვით-არსება მათთვის სასარგებლო იყო, ისინიც მხარს უჭერდნენ, როცა ეს მათთვის სასარგებლო აღარ იყო, ორმო გამოუთხარეს. ასეთია გზანი ისტორიისა? **ყველა ერი მხოლოთ თავის ინტერესს იცავს და ვაი იმ ერს, მელსაც თავისი ინტერესები ვერ შეუგნია!..**

აქ ამოწერილი სიტყვები იმდენად ნათლად ჰლაპარაკებენ თავის-თავად, რომ კომენტარიები აღარ ესაჭიროება. ამ შემთხვევაში 1896 წ. ნ. ჟორდანიას გასაოცარი შორს-მჭვრეტელობა გამოუჩენია. ქვევით ჩვენ დავინახავთ, რომ სომხების მოქმედება აშკარად, თუ მალულად ყოველთვის იქითკენ იყო ხოლმე მომართული, რომ ქართველთა ეროვნულ აღორძინებისთვის ხელი შეეშალათ. ამაზე ქვევით გვექნება ლაპარაკი. ეხლა კი ისევ იმის გამორკვევას შევუდგებით, თუ რა როლი ითამაშეს სომხებმა საქართველოს სოციალ-ეკონომიურს ცხოვრებაში. ნ. ჟორდანია ამტკიცებს, რომ სომხის კაპიტალი ჩარჩული კაპიტალი იყო და არა საწარმოვო. მართალია ეს აზრი მას ძალიან ბავშურადა აქვს გამოთქმული, მაგრამ მაინც ნათლადა სჩანს, რომ მას აზრათა ჰქონია დაპირისპირება ჩარჩულ და საწარმოვო კაპიტალებისა, რომელთა შორისაც, მართლაც, არსებითი განსხვავება არსებობს. საწარმოვო კაპიტალი ნ. ჟორდანიას წარმოდგენილი აქვს ევროპიულ ვაჭრობის სახით, ჩარჩული კი—სომხურისა. რომ დაანახვოს მკითხველს, თუ რა განსხვავება არსებობს სომხის-ჩარჩულსა და ევროპიულს—საწარმოვო კაპიტალს შორის, იგი ამ ორნაირს ვაჭრობას ერთმანეთს ადარებს. „ევროპიული ვაჭრობა ნიშნავს წესიერ, კანონიერ ვაჭრობას,—სწერს ბ-ნი ჟორდანია,—მოტყუება, გაიძვერობა აქ არ არსებობს.. საქონელი ღირს ამდენი, გსურთ მიირთვით, გსურთ დატოვეთ, გძელი ლაპარაკი საჭირო არ არის. ვაჭარმა წინდაწინ იცის მთელი წლისგანმავლობაში, დაახლოვებით რამდენს გაყიდის, რამდენს მოიგებს. ცხოვრება განსაზღვრულ პირობებშია, აქედან ამოხტომა გასაჭირია. ყველას გარკვეული საცხოვრებელი წყარო აქვს. ფული ერთი ხელიდან მეორეში გადადის, მეორიდან მესამეში და ასე მუდამ. საიდან წარმოდგება ასეთი წყობილება? სათავე ერთათ ერთია: ცხოვრების დედა-ძარღვი მრეწველობაა. ეს კი შრომის განაწილებაზე არის აშენებული. არც ერთს ადამიანს არ შეუძლიან იცხოვროს ისე, რომ მეორისაგან რამე არ იყიდოს. აქ ყველა მყიდველი და გამყიდველია. თვითონ ის, ვისაც არავითარი საკუთრება არ გააჩნია — პროლეტარი — რამეს მაინც ყიდის, ეს მისი ძალ ღონეა, ამით ვაჭრობს. ასეთს პირობებში ფულის ტრიალი და, მაშასადამე, ბრუნვაც სწრაფია. ევროპის საშუალო ვაჭარი ერთს წელიწადს იმდენს გაყიდის, რამდენსაც ჩვენებური სოვდაგარი სამ-ოთხს წელიწადსაც ვერ გაასაღებს. ასეთი გარჩევაა ჩვენებურ და ევროპიულ ვაჭრობას შორის. ხოლო მოგების მადა კი ყველგან ერთი და იგივეა. ეს ყველგან ძლიერია; ამიტომ ჩვენებური ვაჭარი უკანონო მოქმედებით, ჩარჩობით ისრულებს იმას, რასაც კანონიერი ნიადაგი აკლია. ამის გამო აქაური ვაჭრობა ჩარჩობა, მოტყუება, სიყალბეა. მთელი ერთი საათი სიცრუეს გეფიცება, ოღონდ კი ერთი გროში **გამოგტყუოს**.“

ასეთი მოტყუება, რა თქმა უნდა მარტო ტფილისის სომხის ვაჭრების მონოპოლიას არ შეადგენს. სადაც ვაჭრობაა, იქ აუცილებლად მოტყუებაცაა. არავითარი კანონიერი და უკანონო ვაჭრობაარ არსებობს. თუ შეიძლება შუამავლობისთვის 10% აღება, შეიძლება 20, 50, 100-ისაც. რაოდენობა პროცენტისა არსებითად არაფერსა სცვლის. მაგრამ ნ. ჟორდანიას ამით სულ სხვა რამის თქმა უნდოდა. აქ ჟორდანია ერთმანეთს უპირისპირებს ჩარჩულსა და საწარმოვო კაპიტალს. ბუნდოვანად წარმოუდგენია ის არსებითად მართალი აზრი, რომ ჩარჩულსა და საწარმოვო კაპიტალს შუა ძალიან დიდი განსხვავება არსებობს.

სომხები ჩვენში ჩარჩულ კაპიტალის მატარებელნი ყოფილან. სომხის კაპიტალი იქ ისადგურებს, სადაც სიღარიბეა, სადაც ხალხი ადვილი გასაყვლეფია. ნ. ჟორდანიას არც იმის იმედი აქვს, რომ მომავალში მაინც სომხები „გაევროპიელდებიან“, ე. ი. სამრეწველო კაპიტალს შექმნიან. როდესაც ვაჭრობა ევროპიულს ხასიათს მიიღებს, მაშინ სომხებსაც, ნ. ჟორდანიას აზრით, პირველობა დაეკარგებათ, რადგანაც სომხებმა მრეწველობა ვერ განავითარეს და ვერც შემდეგში განავითარებენ.

სომხის ჩარჩულ კაპიტალს წინ ეღობება ქართველობა. და აი, დაიწყო ბრძოლა ქართველ-სომხეთა შორის, ბრძოლა, რომლის დამალვაც ნ. ჟორდანიას საჭიროდ არ მიაჩნია. „ქართველობა ევროპის გზაზე გამოვიდა,—სწერს ნ. ჟორდანია,—მან ხელი მოჰკიდა ყველა იმ საქმეს, რასაც კი ევროპიელნი მისდევენ. აქ პირველი ალაგი უჭირავს აღებ-მიცემობას, წარმოებას. მარა მას ამ გზაზე უკვე გამოსული სომხობა წინ გადაეღობა და აი, აქ ისინი მიხვდნენ ერთმანეთს. **ყოველი ნაბიჯი ქართველობის მიერ წინ გადადგმული, ნიშნავს ნაბიჯს მის მეტოქეთა მიერ უკან გადადგმულს. ასეთს ბრძოლაში და გამარჯვებაშია ჩვენი კულტ**ურული ზრდა, ჩვენი ეროვნული განვითარება“.

ნ. ჟორდანიას ღრმათა სწამს, რომ „გაევროპიელებულ“ კაპიტალის პატრონი ქართველობა შეიქმნება, ჩარჩი სომხები კი გაპროლეტარდებიან და ქართველ მუშა ხალხს ამოუდგებიან გვერდით. ვერც რუსის კაპიტალი დაიჭერს საქართველოს, რადგანაც რუსეთს თვითონაც არ გააჩნია კაპიტალი. „რუსეთს კი არ შეუძლიან,—სწერს ჟორდანია—როცა ის ისე გაღონიერდება, რომ საქართველოს თავის კაპიტალს მიაწვდის, მაშინ ქართველობაც იმავე ფეხზე იქნება დამდგარი და რუსეთის კაპიტალს თავის კაპიტალს დაუპირდაპირებს“.

ამ რიგად, ცხადი ხდება, რომ სომხობა უძლურია შექმნას ისეთი ფორმა კაპიტალისა, რომელიც ცხოვრებას წინ წასწევს, გააევროპიელებს და მოქალაქობრივ წესებს შემოიღებს. ეს როლი, ნ. ჟორდანიას აზრით, **ქართულმა კაპიტალმა** უნდა იკისროს...

**არ. ჯ—შვილი**

(შემდეგი იქნება).

ჰქონდეს მათთან. ეს მუშები მოზიდულნი არიან უკანასკნელს წლებში შორეული აიასტანიდგან და მათი საშუალებით განდევნილ იქმნენ ქართველი მუშები, რომელნიც წინად თავისს დედა-ქალაქში თავისი პატიოსანი „შრომით ლუკმა პურს შოულობდნენ. რომელი „ღირსეული" ლონისძიებით მოახდინეს, ასეთი ანტიქართული ცვლილება, სხვა ამ გვარ ცვლილებათა შორის, დაწვრილებითს გამოკვლევას ითხოვს და შესაბამი ღონის ხმარების საჭიროებზე ღაღადებს.—

ვიმეორებ, თუ რვა წლის განმავლობაში სომხეთა რიცხვმა ერთი ორად ათასიდან 125 და კიდევ მეტადაც იმატა, და 63 ათასამდინ ავიდა, რა დაემართად ქართველებსა, რომ ამავე დროს განმავლობაში ერთ ნახევარად მაინც არ იმატეს თბილის'ში და 50 ათასიდან 75 ათასამდინ მაინც არ ავიდნენ?

**იაკობ გოგებაშვილი.**

# მოწერილი ამბები

**დ. აბაშა.** (სამეგრელო) თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ბაზრის დეპუტატებმა თხოვნით მიმართეს ფოთიდან მომავალ რკინის გზას უფროსს—ნეიგებაუერს, სთხოვდნენ სადგურის ბაქანის გადმოხურვას და გადიდებას. მსგავსი თხოვნით არა ერთხელ მიუმართავს ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლებს სათანადო მთავრობისათვის, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ არაფერი ისმის.

საჭიროდ ვცნობ ცოტა რამ ადგნიშნო აბაშის სადგურის შესახებ. პირველი და მეორე კლასის დარბაზი თითქმის მუდამ დაკეტილია, რის გამოც მგზავრები, განსაკუთრებით შორიდან ჩამოსული მანდილოსნები, ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან: არ იციან სად შეაფარონ თავი. საპირფარეშო აქ მეტი ბარგადაა მიმჩნეული. ვინ იცის რაოდენ გასაჭირს განიცდის ამის მიზეზით მგზავრი; ბილეთების გაყიდვა თავის დროზე იშვიათად იწყება, რის გამოც მგზავრები იძულებული ხდებიან უბილეთოდ წავიდნენ და კონტროლიორის კლანჭებში მოჰხვდნენ, კონტროლიორად კი სადგურის უფროსის თანაშემწე ითვლება.

სადგურის უკან, სადაც მეეტლები სდგებიან, თითქმის არას დროს არ არის განათებული ფარნები. იქვე ორი მოკლე რკინის ბოძია ჩასმული მიწაში გამოურკვეველ მიზნისათვის. ამ რკინებს მგზავრები ეხორძიკებიან განსაკუთრებით ღამით და ფეხებს იმაგრებენ. ამის მიზეზით ერთი ადგილობრივი მცხოვრები რამოდენიმე დღეა ჯოხით დადის.

აბაშის საზოგადოდ დ. აბაშაში მომრიგებელ სამოსამართლოს დაარსების თაობაზე საქმის საწარმოებლად აირჩია ადგილობრივ ნორმალურ სკოლის ზედამხედველი გ. ქობულია, ა. ხაფავა, ბ. ტყებუჩავა და ს. კაჭარავა. ამათ უკვე მიუმართავთ ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარისთვის შესაფერის თხოვნით წერილობითაც და პირადად. თავმჯდომარეს დახმარება აღუთქვამს.

აბაშის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობამ ამ დღეებში წერილობითი მიმართვა დაურიგა ამხანაგობის წევრებს, სადაც, სხვათა შორის, სთხოვს უკანასკნელთ გატანილი სესხი დანიშნულ ვადაზე შემოიტანონ, კრებებს დაესწრონ, ფხიზლად თვალ-ყური ადევნონ ამხანაგობის საქმეების მიმდინარეობას და თითეულ წევრის ზნეობრივ და ქონებრივ მდგომარეობას და სხვა. მიმართვა ასე თავდება: დარწმუნებულივართ ამ ჩვენს თხოვნას თანაგრძნობით მოეკიდებიან ამხანაგობის წევრები და გულწრფელად დაგვეხმარებიან ამხანაგობის სად დანიშნულების გამართლებაში. ხსენებულ ამხანაგობაში სხვა და სხვა უწყებები და ზოგიერთი წიგნაკი ქართულ ენაზე შემოუღიათ, რაც ფრიად სასიამოვნოა.

კვათანის ნორმალურ სკოლასთან ქუთაისის დირექციის მესამე ცენტრალური სამასწავლებლო ბიბლიოთეკა არსებობს. საინტერესოა გავიგებდეთ ბიბლიოთეკის გამგისაგან, თუ რამდენად სარგებლობენ ამ ბიბლიოთეკით მასწავლებლები და არის თუ არა მასში შესაფერი წიგნები.

**მაკაშვილი.**

# რუსეთი

**დონის-როსტოვში უნივერსიტეტის გახსნას აპირებენ.**

ამის თაობაზე დეპუტატებს აჯემოვსა და კირიანოვს სახალხო განათლების მინისტრ კასსოსთან მოლაპარაკება გაუმართავთ და როსტოვის ქალაქის საბჭოსათვის შეუტყობინებიათ: დაწვრილებითი ანგარიშები და პროექტი გამოგვიგზავნეთო. უნივერსიტეტის გახსნას ახლო მომავალში ელიან.

**საიდუმლო საზოგადოების აღმოჩენა.**

კიევში აღმოაჩინეს საზოგადოება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ჯარში გასაწვევველთ ანთავისუფლებდა.

საზოგადოების წევრები დილის გასამრჯელოთი ანთავისუფლებდნენ ჯარში გასაწვევველთ ამ რიგად: ჰყავდათ დასახიჩრებული პირები, და სალ-ახალგაზდების ნაცვლად ესენი ესინჯებოდნენ. რასაკვირველია, საამისო მოწმობებიც ჰქონდათ, ისე რომ განთავისუფლება ვითომ კანონიერ ნიადაგზე ხდებოდა. მერგინოვის ქუჩაზე ბინაზე, დაატუსაღეს კბილის ექიმი რაიხტერი. უკანასკნელი ხელგაშლით სცხოვრობდა, ფული მუდმივ მოეპოვებოდა.

საზოგადოების სულის-ჩამდგმელად გავრცელებულ ხმებით რაიხტერი ითვლებოდა. რაიხტერის ბინა გაჩხრიკეს, მაგრამ საყურადღებო რამ არა უპოვიათ-რა. მაგრამ მაინც დაატუსაღეს და პოლიციაში წაიყვანეს.

24 მარტს, ღამე, პოლიციელი მივიდა მაძებარ პოლიციაში და განაცხადა, რაიხტერი გაიქცაო. მისი სიტყვით, რაიხტერს უთხოვნია ბინაზე დავბრუნდეთ, დამავიწყდა ერთი რამეო. პოლიციელი დასთანხმებია და ბინაზე მისვლისას დერეფანთან დამდგარა, რაიხტერი ასულა სახლში და ეზოს კარებით გაპარულა. პოლიციელი დააპატიმრეს, ჰგონიათ მოქრთამულია რაიხტერის მიერ.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 მარტი.

**საზღვარ-გარედ.**

**ბომბეი.** პუნის ჩრდილოეთით ერთ სოფელში ჩალის სახლში 500 კაცი შეიკრიბა. სახლს ცეცხლი გაუჩნდა, 200 კაცი დაიღუპა.

**ბერლინი.** აქ გერმანიისა და იაპონიის საქმეთა ბიურო დაარსდა. დამაარსებელნი მხოლოდ იაპონელები არიან. ბიუროს მიზანია, რომ იაპონიისა და გერმანიის ვაჭრული დამოკიდებულებანი განამტკიცოს; ბიუროსთან დაარსდა ოფიციალური განყოფილება, რომელიც იაპონიის შესახებ ცნობებს იძლევა. ჰფიქრობენ ამ მოკლე ხანში იაპონიურ ფაბრიკების ნაწარმოებთა გამოფენა გამართონ. ბიუროს დირექტორად ტოკიელი პროფესორი იატსომია მოწვეული.

**ტოკიო.** დიდი ცეცხლი გაჩნდა. ქარიშხალმა და წყლის ნაკლებულობამ ცეცხლს ხელი შეუწყო. ქალაქის უბნები: ტოკუ, ასაკურა და იოსიურა მთლად გადიბუგა. რამდენიმე ასეული სახლია დამწვარი. დაჭრილები და დამწვარი ასობითაა. მაშველი რაზმი იოკოგარიდან დაიბარეს. ევროპიელთა უბანს შიში არ მოელის.

**სტამბოლი.** სკოგტარის გუბერნატორმა სამსახურიდან გადაყენება ითხოვა. ორ ახალ დრონაუტის აშენების კონტრაქტს ხელი მოაწერეს.

**ურმია.** ხოიში პოლიციამ დაატუსალა ორი ძმა ქურთები: ჯაფარ-ალა და ქადირ-ალა. ესენი სპარსეთის ცხენოსანთა მეთაურები იყვნენ. რაკი ჯამაგირებს ვერ იღებდნენ, ყაჩაღობა დაიწყეს. ოსმალეთის მთავრობა მათ დიდი ხანია დაეძებდა.

**რომი.** 10 საათსა და 45 წუთზე მიწის ძვრა იყო; მიწის ძვრამ სამ წამს გასტანა.

**ტრუა.** მეღვინეთა დამცველ კომიტეტის პრეზიდენტმა მანიფესტანტებსა სთხოვა, რომ მშვიდობიანად მოიქეცითო და დაჰპირდა, თუ თქვენი მოთხოვნილებანი არ შეასრულეს მაშინ სათავეში ჩაგიდგებითო. ამის შემდეგ, კომიტეტის წევრები პრეფექტურაში წავიდნენ. იქ მოლაპარაკება გაიმართა. პრეფექტურის წინ ჯარი იდგა. დემონსტრატორები ღელავდნენ. პრეფექტურის ეზოში წითელი ბაირაღი ააფრიალეს. მეორე ასეთი ბაირაღი მესერზე მიამაგრეს, მაგრამ პოლიციამ ჩამოხსნა. ბურგომისტრმა დემონსტრატორებს სიტყვით მიჰმართა, მშვიდ მოქმედების დაწყება მიულოცა და დაჰპირდა, რომ ობის დეპარტამენტს შამპანის დეპარტამენტს შეუერთებთო. ბოლოს მეღვინენი მუსიკით ვაგზლისკენ გაემართნენ. ჯარი ყაზარმებში წავიდა.

**ნიუ-იორკი.** ჩიგუიგუდან იუწყებიან, რომ აჯანყებულმა 90 ჯარისკაცი საფარში შეიტყუეს და თითქმის ყველა გასწყვიტესო.

**რ უ ს ე თ ი**

**პეტერბურგი.** საფინანსო კომისიამ შეკითხვა შეიტანა სათათბიროში იმ კანონ-პროექტის შესახებ, რომლითაც ფინლანდიის ხაზინას ნება ეძლევა ჯარში გაწვეულ ახალგაზდათა სამაგიეროდ, ფული გაიღონ.

ვაჭრობის მინისტრმა, მინისტრთა საბჭოში რუსეთ-იაპონიის საზოგადოების დაარსების პროექტი შეიტანა. პროექტის მიზანი ის არის, რომ რუსეთ-იაპონიის ერთმანეთს ეკონომიურად დაუკავშიროს და კულტურულად გააცნოს.

კუსთან მებრძოლ საზოგადოებას ამ ჭირის ინსტიტუტის დაარსებისათვის შემოწირულებათა შეგროვების ნება დაერთო.

**მოსკოვი.** სათათბიროს ყოფილი თავმჯდომარე გუჩკოვი შორეულ აღმოსავლეთისაკენ გაემგზავრა. დილით, მისი მონაწილეობით 17 ოქტომბრის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კრება გამართა.

# თეატრი და ხელოვნება

**ზუბალაშვილის სახალხო სახლი.** ორშაბათს, 28 მარტს, ქართველ არტისტების მიერ და სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილ იქმნა: შექსპირის „ოტელლო".

ოტელლოს როლს ასრულებდა ვალ. გუნია. პირველ ორ სურათში რაღაც უგულობა ეტყობოდა, მაგრამ ეს შეცდომა გამოისყიდა მეხუთე სურათში, სადაც შავიჭვებით გარემოცული სულიერ ტანჯვას განიცდის. კარგები იყვნენ აგრეთვე: ო. ლეჟავა (დეზდემონა), ვ. შალიკაშვილი (იაგო), ნ. ჯავახიშვილი (ემილია), ივანიძე, აბდუშელი, პეპანოვი და ინაშვილი, თუმცა ამ ორს უკანასკნელთ როლი რომ სცოდნოდათ, უკეთესი იქნებოდა.

ხალხი ბლომად დაესწრო.

—

აპრილის ცხრამეტში ზუბალაშვილების სახალხო სახლში წარმოდგენილ იქნება: **ვ. შალიკაშვილის პიესა „ოჯახი".**

—

ხუთშაბათს, 31 მარტს ქუთაისში ვალ. გუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: ილ. პონტელის ახალი ორიგინალური პიესა **„საშინელი ბრძოლა".** ტფილისში ამავე დღეს წარმოდგენილი იქნება: „სამშობლო".

—

პირველ მაისს ზუბალაშვილის სახალხო სახლში გაიმართება „სალიტერატურო დილა". მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი, ვაჟა-ფშაველა, კ. მაყაშვილი, განდეგილი, შანშიაშვილი, გრიშაშვილი, ქუჩიშვილი, რუხაძე, ახოსპირელი, ჩხიკვაძე და სხვა. გ. გედევანოვი და ვ. აბაშიძე წაიკითხვენ „ვაი-ვუის" მოტივზე ახალ კუპლეტებს, მომღერლები იმღერებენ რუსულ-ქართულ რომანსებს, საფაროვი წაიკითხავს კუპლეტებს „606"-ს. კინტოურ-გლეხურ-იმერულ ტანისამოსში ქართველი არტისტები წაიკითხავენ სცენებს.

—

11 აპრილიდან სახაზინო თეატრში დაიწყება გასტროლები **რუსული დრამატიული დასისა ბ. ნ. დ. ლებედევის მეთაურობით.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

როდესაც „თემსა" და „სახალხო გაზეთს" შორის კამათი გაიმართა, „თემმა", სხვათა შორის, ჩემი სახელი და გვარი გამოაცხადა, თუმცა, როგორც მაშინვე აღვნიშნე, არც ერთხელ ჩემი გვარითა და სახელით წერილი არ გამომიქვეყნებია. მაშინ მეგონა, რომ „თემის" ხელმძღვანელს, ბ-ნ გრ. დიასამიძეს, მხოლოდ ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა: ჩემი დამცირება. ამიტომ მე არავითარი ყურადღება არ მივაქციე: დიასამიძისთანა კალმოსნები ჩემს სახელს ჩირქს ვერ მოსცხებენ, მაგრამ, როგორც ეტყობა, გრ. დიასამიძეს უფრო სხვა რამ აინტერესებს, ვიდრე ჩემი დამცირება. მას სურს მოაჩვენოს მკითხველ საზოგადოებას, რომ გაზეთს მე დავეპატრონე და, როგორც შემთხვევითმა თანამშრომელმა გაზეთისამ, მას ისეთი სახე მივეცი, რანაირსაც მისი თანამოაზრენიც კი არ თანაუგრძნობენ. გრ. დიასამიძის გაზეთი სწერს: „არჩილ ჯაჯანაშვილის ორგანომ კიდევ გვიწყალობა ყურადღება". საქმე რომ მარტო ჩემს პიროვნებას შეეხებოდეს, ხმას არ ამოვიღებდი, რადგანაც გრ. დიასამიძესავით განდიდებულად არ წარმომიდგენია ჩემი თავი. მხოლოდ გრ. დიასამიძესთანა მწერლებს შეუძლიანთ მთელი აზრი და მიმართულება პირად თავმოყვარეობას შესწირონ ზვარაკად. ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ მე პირადი თავმოყვარეობა არ მალაპარაკებს.

მაგრამ არ შემიძლიან გავჩუმდე, როდესაც „სახალხო გაზეთს", რომლის წარსულსა და აწმყოსაც ჩვენი მკითხველი საზოგადოება კარგად იცნობს, ჩემს ორგანოდ აცხადებს. „სახალხო გაზეთი" ჩემი ორგანო არ არის. იგი მე არ გამიხდია პირად აზრთა გასავრცელებელ გაზეთად, იმის საშუალებით მე არ ვცდილობ პირად მოქიშპეთ გავუსწორდე. „სახალხო გაზეთი" საზოგადოებრივი ორგანოა, მას მრავალი თანამგრძნობელი ჰყავს, და სანამ მე იმათ ნდობით ვიქმნები აღჭურვილი, კიდეც ვიმუშავებ. გრ. დიასამიძის სიტყვები „სახალხო გაზეთ"-ს ტრადიციების დამამცირებლად მიმაჩნია, და ამიტომ იმის სახელით პროტესტს ვაცხადებ.

**არჩილ ჯაჯანაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

**სახელმწიფო ბანკის სარგებლიან ქაღალდების ფასი**

29 მარტი, 1911 წ.

| | | |
|---|---|---|
| I ხარისხ. მომგ. ბილეთი | 480 მ. — კ. | |
| II ხარ. მომგ. ბილეთი | 372 „ — | „ |
| გირაო, მომგებ. ლ. ს. სათ.-აზნ. ბანკისა | 337 „ 50 | „ |
| 4%/0 სახელმწ. რენტა | 94 „ 75 | „ |
| 5%/0 გირავ. ფურც. სახელმწ. სათ.-აზნ. ბანკისა | 100 „ 12 1/2 | „ |
| 4 1/2%/0 გირ. ფურც. სახელმწ. | 95 „ 25 | „ |
| 4%/0 გირ. ფურც. სახელმწიფ. სათ.-აზნ. ბანკისა | 90 „ 37 1/2 | „ |
| 3 1/2%/0 გირ. ფურც. სახელმ. სათ.-აზნ. ბანკისა | 85 „ 87 1/2 | „ |
| 5%/0 მოწმობა გლეხ. საადგ.-მამულო ბანკისა | 100 „ 75 | „ |
| 4 1/2%/0 მოწმ. გლეხ. საადგ.-მამულო ბანკისა | 96 „ 25 | „ |
| 4%/0 მოწმ. გლეხ. საადგილ.-მამულო ბანკისა | 91 „ 25 | „ |
| 5%/0 შინაგ. ნ. სესხი 1905 წ. პირველი | 104 „ 25 | „ |
| 5%/0 შინაგ. სესხი 1905 წ., მეორე | 104 „ 25 | „ |
| 5%/0 გარეშ. სესხი 1906 წ. | 103 „ 25 | „ |
| 5%/0 გარეშ. სესხი 1908 წ. | 104 „ 25 | „ |

# განცხადებანი


## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 1/2—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. პეტროსიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1 1/2 ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1 1/—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ხ. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**თ. მ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 1/2 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 სათ. **606** წამლობა

**კონსულტატიურად**

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. ზამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1168—5)

◀ მშობიარეთათვის ▶

## თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., ბაბებიოს ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—78)

## თესლეულობა

ყოველგვარი, უმაღლესის ღირსებისა და თავდებობით, რომ აღმოცენდება, გაღვიებული ხახვის თავი, სინდრო, კარტოფილი და ტარხუნა დასარგავი. ფასები ზომიერზე დაბალი.

**თესლეულობის დეპო**

**—◆ კ ო ვ ე ლ ი ს ა ◆—**

**მიხეილის პროსპექტი, № 27.**

(3—1164—3)

## საბურთალოზე

ვისაც ჰსურს გაჰყიდოს, ან შეიძინოს სამოსახლო ადგილი, ვთხოვ შემოიაროს ჩემთან, ჩემს სახლში (საბურთალოზე) ნაშუადღევის 3—5 საათამდე.

**სევასტი მ. გაჩეჩილაძე.**

(5—513—5)

აპრილის ნომერი სამეცნიერო-პედაგოგიურის და სალიტერატურო ჟურნალ

## „განათლებისა"

გამოვა ამ დღეებში და დაურიგდება ხელის მომწერლებს **შემდეგის შინაარსით:** 1. სკოლა და მისი აღმზრდელობითი გავლენა **ლ. ბოცვაძისა.** 2. ვილიამ ჯემსი (საუბარი ფსიხოლოგიაზე) **დ. თ—ძისა.** 3. ბავშვების თხზულებათა შესახებ. 4. ბოტანიკა—მცენარეთა სისხლი. 5. პატარა საიდუმლოება (ამბავი) **იაკობ გოგებაშვილისა.** 6. სიმღერა (ლექსი) **ილ. რუხაძისა.** 7. აკაკის (ლექსი) **ტონკმელისა.** 8. ცრუპენტელა აღმზრდელი (მეორე ნაწილი) **ვაჟა ფშაველასი.** 9. კვატა და მთვარე (იგავ-არაკი) **თ. მაგმაძისა.** 10. ჰეინედან (ლექსი) **გ. უზნაძისა.** 11. მარტო (ლექსი) **დ. თურდოსპირელისა.** 12. ჰეინედან (ლექსი) **კატო ბაქ—ძისა.** 13. ვერ მფენს სიხარულს მე გაზაფხული **ლადო გოცირიძისა.** 14. „ფურთხი მოღალატეს" (ინგილური ლეგენდა) **ზ. ედილისა.** 15. მეგობარს (ნადსონიდან) **ილია ფერაძისა.** 16. ჯუზეპე გარიბალდი **კახაბერისა.** 17. შინაური მიმოხილვა (სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოდ) **ვლ. ბზვანელისა.** 18. უცხოეთი—პროფ. ლავისსის აზრი ისტორიის სწავლების შესახებ 19. პასუხი სამოელ ცომაიას **სიმონ ქვარიანისა.** 20. ტ. გ. შევჩენკო. 21. მოწერილი ამბები ონიდან და სხ. 22. გერმანელ გენერლის აზრი სამხედრო განათლების შესახებ. 23. სიტყვა დეკ. კალ. ცინცაძისა ბატონყმობის შესახებ. 24. განცხადებანი და სხვა.

**ჟურნალის ფასი წლიურად სამი მანეთი, სოფლის მასწავლებელთათვის 2 მან.**

**მისამართი:** Тифлисъ Дворянская Грузинская гимназія Л. Г. Боцвадзе.

(2—?) **რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.**

## სააქციონერო საზოგადოება

# გრამაფონი

◆ განყოფილება კავკასიისა და ამიერ-კავკასიისათვის ◆

ტფილისი, გოლოვინის პრ., № 9.

## საყურადღებო ამბავი!

გრამოფონების ფირფიტების, რომელსაც ნიშნად აქვთ

—◀ „მ წ ე რ ა ვ ი ა ნ გ ე ლ ო ზ ი", ▶—

## ფასება ძალზე დაიწია.

"КОНДОРЪ" Граммофонныя иголки. Утвержденный торг. знакъ. Остерегайтесь поддѣлокъ.

ფირფიტების ახალი ფასები:

| | | |
|---|---|---|
| 12 | შავი ეტიკეტით, ორ-მხრივი | 2 მან. —კაპ. |
| 10 | „ „ „ | 3 „ — „ |
| 7 | ყავის-ფერ ეტიკეტით ორ-მხრივი | — 75 „ |
| 10 | „ „ „ | 1 „ 50 „ |
| „მწერავი ანგელოზი", 12 | „ „ „ | 2 „ — „ |

ისარგებლეთ შემთხვევით და მობრძანდით სააქც. საზოგადოება

## გრამოფონი-ს

## —● მაღაზიაში ●—

**საწყობში გვაქვს დიდძალი ფირფიტები:**

რუსული, მალორუსული, სპარსულ-თათრული, ქართული, სომხური

და მეცნიერ ენაზე დაწერილი.

**მოითხოვეთ უფასოდ კატალოგები და დამატებითი სიები:** (20—1092—11)

**საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა**

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

## ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

## ✦ ახალ-ახალი ✦

## ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

## ხიზილალა

ახალი (Зернистая).

—◀ პარკისა და კოლოფებით ▶—

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

**მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა** ✕✕▶

◀✕✕ გირვანქა 1—40 2 მან.—2 მან. 40 კ.

**წითელი ხიზილალა** (Кетовая). 60 კ. გირ.

და **ბელა-რიბიც 50 კ.**

აგრე ... ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—123—136)

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

**საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა**